საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აჩიკბაში

აჩიკბაში (თურქ. acik – ღია, მოხდილი და bas – თავი; თავღია, თავშიშველი, უქუდო), ასე უწოდებდნენ თურქები იმერლებს იმის გამო, რომ ისინი ფაფანაკს ატარებდნენ, რაც შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ქუდი არ ეხურათ. ა. შეერქვა იმერეთსაც. ამ სახელით იხსენიება იმერეთი თურქ. ისტორიოგრაფიაში და, აგრეთვე, სულთნებისა და დიდი ვეზირების მიერ იმერეთის მეფეებისადმი გაგზავნილ წერილებში. სპარსელები იმერელს და იმერეთს უწოდებდნენ „ბაში აჩუკს“, რაც თურქ. ა-იდან არის ნაწარმოები. „ოსმალნი და სპარსნი საყოველთაოდ ამ ქვეყანას (იმერეთს) უწოდებენ ბაშაჩუხს, რომელ არს თავახდილი“ (ვახუშტი).

წყარო: ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, [ნაწ.] 2, ზ. ჭიჭინაძის *გამოც.*, ტფ., 1913; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

ვ. ჩოჩიევი